



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო  
კომისიის თავმჯდომარის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

N 1341  
23/07/2018

ქალაქი ბათუმი

1341-05-4-201807231200



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად ხელვაჩაურის მერის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის №1246 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტისა და პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარის ილია ვერძაძის 2018 წლის 03 ივლისის №28/01-09 წერილის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად ხელვაჩაურის მერის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის №1246 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება, პირველ პუნქტს დაემატოს „თ)“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ თ) ირაკლი ქუთათელაძე - საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე - კომისიის წევრი.“

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თეიმურაზ გაწერელია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი